ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 32

2015 წლის 08 აპრილი
ქ. ბათუმი

ბსუ-ს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში 2015 წლის 10 ივნისიდან სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის ჩატარების მიზნით საპროცედურო კომისიების შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად 2015 წლის 08 აპრილს გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საპროცედურო კომისიები დანართი 1-ის შესაბამისად;
2. საპროცედურო კომისიების მუშაობის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს 2011 წლის 23 აპრილიდან 2015 წლის 11 ივნისამდე;
3. საპროცედურო კომისიებს ეთხოვოს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუტებში ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 აპრილის №31 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 10 მარტის №01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესის“ შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება;
4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე **გურამ ჩაგანავა**

დანართი 1

საპროცედურო კომისიების შემადგენლობა
ინსტიტუტების მიხედვით

I. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

1. ეთერ ხეცოიძე;
2. ლალი ტუღუში ;
3. შორენა ფუტკარაძე .

II. აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტი

1. მედეა მელიმონაძე ;
2. თამარ გოგოლიშვილი ;
3. ლენა კოპლატაძე.

III. ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტი

1. მარინა კენჭიშვილი;
2. სვეტლანა გუმბერიძე;
3. ქეთევან მემარნე.